თოვლიანი დილა

ზამთარია, გათენდა

თოვლიანი დილა,

სუსხიანი ამინდით

ველი გადაღლილა.

ბეღურები მობუზულან,

ხის ტოტებზე სხედან,

გაზაფხულის თბილ დღეებზე

თუ ფიქრობენ ნეტავ?

ლუარა ჭანტურია

***

- დედი, წვიმა სად არის?

- წვიმა, შვილო, ცაშია.

- მერე რატომ არ მოდის?

- მოდის, უკვე გზაშია!

ელიზბარ გაბუნია

ბეჯითი წვიმა

წვიმა მოდის წკაპაწკუპით,

წვიმა მოდის შხაპაშხუპით,

მწვანე მინდვრებს გაკვეთილი

ჩააბარა სხაპასხუპით.

ნუნუ კერესელიძე

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,

დიდი მინდორი დანამა,

ყვავილმა მუხლი იყარა,

ფერი იცვალა ყანამა,

მალე პურებიც შემოვა,

იხაროს გლეხის ძალამა,

ბნელი გააპოს ნათელმა,

ბოროტი გული - დანამა.

ხალხური

სოკო

გვალვიანი თვე დადგა,

ტყეში სიცხემ იმატა.

დედა სოკომ საშველად

ზეცას თხოვნით მიმართა:

,,ჩვენ არ ვიცით ღრუბლებმა

რომელ მხარეს იმგზავრეს,

მოაბრუნე ჩვენსკენ და

წვიმა გამოგვიგზავნე.

თორემ ხახა გაგვიშრა

და დაგვიჭკნა ტანია,

ჩვენ, სოკოებს უწყლობა

ვეღარ აგვიტანია".

მალე ღრუბლის სამეფოს

ქარმა მიუკაკუნა....

ზეცამ თხოვნა ისმინა,

ჩამოუშვა შხაპუნა.

ლუარა ჭანტურია

ქოლგა-ჯოხი

ბებოს ძველი ქოლგა

კარადაზე მოსთქვამს:

-დავიღალე გდგებით,

დამასველეთ, ვკვდები!

მომენატრა წვიმა,

ონავარი ქარი,

მუხლის გაშლა მინდა,

დავჟანგდიო, ქალი!

და ერთ დილით ბებომ,

შეანჯღრია, კარგად,

-ქოლგად, არა, მაგრამ

ხელჯოხად კი ვარგა!

ხოდა,ახლა, როცა,

გარეთ თეთრად ბარდნის,

ბებო მეზობლებში

ქოლგა-ჯოხით დადის....

დიანა ღვალაძე

წვიმა

მზეს მოუნდა პირის ბანა,

ღრუბელს უთხრა: ჩქარაო!

გაწვიმდა და ტყეში ყველა

სადღაც შეეფარაო.

ბოლოს, როცა

ის ღრუბელი

დაიწურა სულაო,

სოკომ მერე მოიფიქრა

ქოლგა დაიხურაო!

ციცო ხოცუაშვილი

წვიმის შემდეგ

მოდის წვიმა,

ჩნდება ნამი;

წვება ნისლი

დაჰქრის ქარი.

დნება თოვლი,

დგება წყალი;

მოდის მთიდან

ნიაღვარი.

ლუარა ჭანტური

მზის ხვავი

მზე ამოდის, ანათებს,

გზავნის ცის ამანათებს:

სითბოსა და სინათლეს.

უკეთესს რას ინატრებ?

ქუჩებს, სკვერებს, აუზებს

ხალხს ხალისით აუვსებს.

ტყეს, სოფლებს

და ქალაქებს

კუთხე-კუნჭულ აანთებს.

არ დატოვებს ხეზე ბუდეს,

თბილ-თბილ სხივებს

ბარტყებს უფენს.

ღარიბს, მდიდარს,

ჭკვიანს, სულელს

მზე იმედს და სხივს

არ ულევს!

ქვას და ყვავილს,

წყალს და მიწას,

მისი სხივი ყველას მისწვდა.

სახლებს, სკოლებს, ბაგა-ბაღებს

ყველას ათბობს, უხმოდ აღებს,

გამოიყვანს ბავშვებს გარეთ,

გააცოცხლებს არე-მარეს!

მართლაც, მზის ხვავს და ბარაქას

მჯობნის მჯობი სხვა არა ჰყავს!

მითუმეტეს დილით, როცა,

ჩვენს სამშობლო საქართველოს

მზე და კაცი ერთად ლოცავს!

მარიამ წიკლაური

ზამთარი

ბიჭოს, რა თოვლი მოვიდა,

ნეტავ საიდან მოვიდა,

იმდენ ხანს დააგვიანა,

ალბათ, ძალიან შორიდან.

აუ, რამდენი ფიფქია,

ფიფქები ქარში მიქრიან,

ასე ლამაზი თუ იყო

ზამთარი, არც მიფიქრია.

ეი, ბეღურავ, მავთულზე

მობუზული რომ ზიხარო,

ჩემს აივანზე მოფრინდი,

საკენკი გადმოგიყარო,

ცოტათი გათბი, დანაყრდი

და მერე ერთად ვიხაროთ.

ნოდარ დუმბაძე

როცა სეტყვა მოდის

როცა სეტყვა მოდის,

ზეცა იქუფრება,

– ნახეთ, რა გიქნათო!

თითქოს იმუქრება.

მართლა საშიშია,

გარეთ დახვდი თუკი,

კრამიტებზე ისმის

მისი რაკარუკი.

თან რა ლამაზია,

ქათქათა და ბროლა,

ზოგი – მძივისტოლა,

ზოგიც – მუშტისტოლა.

დავიშვიშებს ბებო,

ბაბუს მოსდის ბრაზი

– რა დროს ეს იყოო,

წახდებაო ვაზი.

კარგი საქმეც იცის,

კაკლის ჩამობერტყვა,

აი ასეთია

ჩვენი სოფლის სეტყვა.

კობა ჭუმბურიძე

როცა თოვლი მოდის

როცა თოვლი მოდის,

სხვა ფერები ქრება,

ირგვლივ ყველაფერი

თეთრად იქარგება.

დღეს არცერთი ბავშვი

სახლში არ დარჩება,

თოვლში კოტრიალი

ყველას გვენატრება,

სასრიალოდ ერთი

მთა გვაქვს, პატარუკა,

მომყვებიან უკან

ცუგა, ციგა, გუგა.

ზოგს ეზოში თოვლის

კაცის დადგმა უნდა,

ზოგმა ეშმაკუნამ

დაამრგვალა გუნდა.

როცა თოვა იკლებს,

მზეც გამოვა მაშინ,

ამ ხატულა ფიფქებს

ვინ აკეთებს ცაში?

კობა ჭუმბურიძე

როცა დაქრის ქარი

როცა დაქრის ქარი,

აზანზარებს მინებს,

პაწაწინა მარი

როგორ დაიძინებს.

ვერ ჩერდება მარტო,

იწრიალებს დიდხანს,

ბოლოს ისევ ნატო

ბებოს მიაკითხავს.

ბებო მიუჯდება,

ამოუგებს საბანს,

მერე მოუყვება

კოკროჭინას ზღაპარს.

დაე ფანჯრის მინებს

ეხლებოდეს ქარი,

მშვიდად დაიძინებს

ბებოს გვერდით მარი.

კობა ჭუმბურიძე

***

ეს ღუნღულა ღრუბელი,

მზეს რო ეფოფინება,

ცოტა თუ გაიბუტა,

ცრემლად მოედინება.

მერე, თუკი ცხრათვალამ

შერიგება ინება,

ცისარტყელა ღიმილად

ზეცას მოეფინება.

დავაკვირდეთ ბუნებას

და ჩვენც გვეცოდინება –

მეგობრობას სჭირდება

ცოტა მოწადინება.

კობა ჭუმბურიძე

***

რა გინახავთ თოვლის ფიფქზე

უფრო დიდი საოცრება?

ოღონდ, ცხვირზე რომ მაჯდება,

ასე მალე რატომ ქრება?

მერე წვეთად გარდიქმნება,

მერე – ცაში აორთქლდება,

მერე ისევ გაფიფქდება,

ისევ ცხვირზე ჩამოჯდება.

კობა ჭუმბურიძე

თოვლი

_ რა კარგია!

ვაშა! ვაშა!

მოვამზადებთ თოვლის ვახშამს!

თოვლის ფქვილი, თოვლის რძე

გარეთ მუხლის თავზე დევს.

თოვლის ყველი, მაწონი,

არ გვჭირდება ამწონი.

ესეც თოვლის დო!

თოვს,

თოვს,

თოვს.

მე ცომს მოვზელ,

შენ _ გუნდას,

გამოცხობაც არ უნდა.

მარიამ წიკლაური